

შპს შალაური 2012

ს/კ 439393167

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სარჩევი

#	შინაარსი	გვ
1	ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ	3
2	ანგარიშგება შემოსავლებისა და მოგება ზარალის შესახებ	4
3	ანგარიშგება ნაღდი ფულის მოძრაობის შესახებ	5
4	ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ	6
5	ახსნა განმარტებითი შენიშვნები	7-14

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარი)

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018	01.01.2018
აქტივები:				
მიმდინარე აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	1	139010	161 001	235 857
სავაჭრო მოთხოვნები	2	394360	204 322	129 284
სხვა მოთხოვნები	2	35	22	18
სასაქონლო-მატერიალური მარაგები				
მზა პროდუქცია		115727	115 727	106 374
სხვა მარაგები		34903	33 838	34 104
სულ მიმდინარე აქტივები		684035	514 910	505 637
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	2647107	2 271 873	1 413 992
არამატერიალური აქტივები		337	370	404
საგადასახადო აქტივი				
სულ გრძელვადიანი აქტივები		2647444	2 272 243	1 414 396
სულ აქტივები		3331479	2 787 153	1 920 033
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი:				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
ბანკის ოვერდრაფტი				
სავაჭრო ვალდებულებები	5	49140	158 347	33 444
გადასახდელი პროცენტები				
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება		184971	70 105	52 726
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები			20 000	
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ		2400	2 400	2 400
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებულებები		12478	896	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		248989	251 748	88 570
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		324301	358 243	34 786
გადავდებული მოგების გადასახადი				
ფინანსური იჯარის ვალდებულებები	6	427107	33 813	
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		751408	392 056	34 786
სულ ვალდებულებები		1000397	643 804	123 356
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		3000	3 000	3 000
გაუნაწილებელი მოგება		2328082	2 140 349	1 793 677
სულ საკუთარი კაპიტალი		2331082	2 143 349	1 796 677
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		3331479	2 787 153	1 920 033

შპს „შალაური 2012“ ს/კ 439393167

დირექტორი: ჯ. ხარაიშვილი

5. 8/11



მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის (ლარი)

	შენიშვნა	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
		2019	2018
ნეტო ამონაგები		3 865 122	4 380 870
საქონლის გაყიდვიდან			
მომსახურების გაწევიდან	1	3 865 122	4 380 870
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
სხვა			
შემოსავლებთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები	2	(1 340 198)	(1 371 760)
საერთო მოგება		2 524 924	3 009 110
სხვა შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	3	(480 668)	(339 000)
ცვეთა და ამორტიზაცია	3	(670)	(514)
საპროცენტო შემოსავალი:			
საპროცენტო ხარჯი :	3	(83 313)	(25 433)
იჯარის ხარჯი	3	(3 360)	(3 360)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	4	(43 343)	(25 805)
სულ საოპერაციო ხარჯები		(611 354)	(394 112)
საოპერაციო მოგება		1 913 570	2 614 998
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
ფინანსური აქტივები			
მარაგები			
სხვა არაფინანსური აქტივები			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	5	11 071	(24 025)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული წმინდა შემოსავალი/ზარალი	6	21 699	(83 618)
მიღებული დივიდენდები			
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	7	(10 000)	(35 234)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან		1 936 340	2 472 121
მოგების გადასახადი		(262 291)	(318 817)
მოგება/(ზარალი)		1 674 049	2 153 304
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):			
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)			
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		2 143 349	1 796 677
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(1 486 316)	(1 806 632)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		2 331 082	2 143 349

შპს „შალაური 2012“ ს/კ 439393167

დირექტორი: ჯ. ხარაიშვილი



ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

	2019	2018
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში:	161001	235857
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:	4384647	5111715
სხვა მიღებული საოპერაციო შემოსავალი		
შესყიდულ საქონელზე გადახდილი ფულადი სახსრები	-835515	-896918
თანამშრომლებისთვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	-610479	-442459
მომწოდებლებზე დაბრუნებული თანხა	2370	
დღგ და სხვა გადასახადები	-902565	-944867
გაწეულ მომსახურებაზე გადახდილი ფულადი სახსრები	-290363	-376530
საქველმოქმედო თანხა	-10000	-27000
ადმინისტრაციული ჯარიმები		-8234
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1899096	2651564
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
მანქანადანადგარის გაყიდვის შედეგად მიღებული ფულადი სახსრები		
მანქანადანადგარების შეძენა	-135249	-882818
საოფისე ფართის შეძენა		
სესხის დაბრუნება	-340711	-136543
პროცენტის დაბრუნება	-28376	-22692
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	1394760	1609511
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
ნასესხები სახსრების მიღება	290905	480000
ფინანსური იჯარით გათვალისწინებული ვალდებულებების გადახდა	-134655	-212210
ნასესხები სახსრების გადახდა		
გაცემული დივიდენდი	-1412000	-1716300
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		
შემოსავალი კურსთაშორის სხვაობიდან		
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების წმინდა ზრდა / (შემცირება)	139010	161001

შპს „შალაური 2012“ ს/კ 439393167

დირექტორი: ჯ. ხარაიშვილი

Handwritten signature



კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)				
	საწესდებო კაპიტალი	დამატებით შეტანილი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	3000		1047553	1050553
წლის მთლიანი სრული შეოსავალი				2348387
გაცემული დივიდენდი				1605263
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3000		1793677	1793677
წლის მთლიანი სრული შეოსავალი				2156304
გაცემული დივიდენდი				1806632
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3000		2140349	2143349
წლის მთლიანი სრული შეოსავალი				1674049
გაცემული დივიდენდი				1486316
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3000		2328082	2331082

შპს „შალაური 2012“ ს/კ 439393167

დირექტორი: ჯ. ხარაიშვილი

ჯ. ხარაიშვილი



ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1 შ.პ.ს. „შალაური 2012“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად. დარეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2012 წლის 24 ივლისს. ს.ნ 439393167.

კომპანიის დამფუძნებელი და დირექტორი 2019 წლამდე იყო მერაბი ბუსხრიკიძე პ.ნ. 38001003214

ამჟამად კომპანიის დირექტორი და დამფუძნებელია ჯემალი ხარაიშვილი პ.ნ. 01030020496

იურიდიული და ფაქტიური მისამართი: საქართველო, საჩხერე, სოფ. შალაური

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 3000 (სამიათასი) ლარს

1.2 კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- მომსახურება (მანგანუმის მადნის მოპოვება და გადამუშავება)

1.3 საწარმო წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს, მას არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება.

1.4 არ გააჩნია შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.5 საწარმოს არ გააჩნია ფილიალები.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2. კომპანიის მიერ, 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება მცირე და შასუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საეთაშორისო (ფასს მსს-ს) სტანდარტის შესაბამისად.

2.2 კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი. უცხოური ვალუტა აღიარებულია ტრანზაქციის თარიღით არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშვა.

2.3 კომპანია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მსს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტზე გადავიდა 2018 წლის პირველი იანვრიდან.

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მის ფინანსური ანგარიშგების სტანდარტზე გადასვლის შემდეგ არსებითად არ განსხვავდებოდა იმ სააღრიცხვო პოლიტიკისაგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

2.5 კომპანიის მიერ წარმოდგენილი 2019 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის შესაბამისად.

2.6 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში როდესაც გაწეული იქნა.

2.7 მოგების გადასახადი. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“. დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს.

2.8 კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიციები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულების მოდელით.

2.9 გაცემული დივიდენდები კლასიფიცირებულია, როგორც ფინანსური ოპერაციები.

2.10 კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულებების მოდელს. ხოლო ბალანსში ასახულია ცვეთის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების რეალიზაციით წარმოქმნილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა მიღებულ საფასურსა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ძირითადი საშუალებების გაუფასურების ინდიკაცია. თუ ამგვარი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს აქტივის (აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც წარმოადგენს უდიდესს აქტივის რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის. გაუფასურების შემთხვევაში აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ სიდიდით, რითაც იგი აღემატება ამ აქტივის გადაფასების რეზერვს კაპიტალში.

2.11 შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით:

შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

- ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები, ხარჯები და მოგება-ზარალი აისახება ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით.

2.12 საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს, საგადასახადო ანგარიშგებაში ასახული გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით).

2.13 სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება იანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

2.14 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.15 სავაჭრო ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავლებში ან სხვა ხარჯებში.

2.16 ბანკის სესხები, საპროცენტო ხარჯები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. ახსნა-განმარტებები

3.1 ფინანსური მდგომარეობის შესახებ ახსნა-განმარტებები.

3.1.1 ფულადი სახსრები.

შენიშვნა 1

დასახელება	2019 წ	2018 წ
ნაღდი ფული სალაროში	46458	5614
ფულადი სახსრები ბანკის ანგარ.	92552	155387
სულ ფულადი სახსრები:	139010	161001

კომპანიას საბანკო ანგარიშები (მიმდინარე ლარში და სავალუტო) გახსნილი აქვს თიბისი და საქართველოს ბანკებში, არარეზიდენტ ბანკებში ანგარიშები არ აქვს.

3.1.2 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

შენიშვნა 2

დასახელება	2019 წ	2018 წ
მოთხოვნები მიწ. და მომსახ.	394360	204322
მოთხოვნები პერსონალთან	35	22
მომწ. გადახდილი ავანსები.	0	0
სულ მოთხოვნები და წინასწარ გადახდები.	394395	204344

კომპანიის მოთხოვნები ფორმირებულია ძირითადი საქმიანობიდან. (მომსახურება-მანგანუმის ნედლეულის მოპოვება, გადაზიდვა, გამდიდრება).

3.1.3 სასაქონლო მატ. მარაგები

შენიშვნა 3

დასახელება	2019 წ	2018 წ
მასალები და ნედლეული	29113	24700
მზა პროდუქცია	115728	115728
საწვავ-საცხები მასალები	5789	9137
სხვა		
სულ მარაგები	150630	149565

მასალებისა და ნედლეულის ნაშთი შედგება საექსპლუატაციო სამუშაოებისათვის განკუთვნილი მასალებისაგან. მზა პროდუქციის ნაშთები წარმოადგენს სხვადასხვა ხარისხის მანგანუმის კონცენტრატის და შუალედური პროდუქტების ნაშთებს.

3.1.4 ძირითადი საშუალებები

შენიშვნა 4

თვითღირებულება	ნ. 31,12,19	შემოსვლა	გასვლა	ნ.31,12,18
მიწის ნაკვეთები	38500	0	0	38500
შენობა	0	0	0	0
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	35633	0	0	35633
ელექტრო ძრავები და დიზელ გენერატორები	1956	0	0	1956
ძაღობანი მანქანები და მოწყობილობები	1785515	0	142208	1927723
ოფისის აღჭურვილობა	2221	0	0	2221
სატრანსპორტო საშუალებები	68500	0	0	68500
სპეციალური ინსტრუმენტები	4366	1704	0	2662
ლიზინგით აღებული ქონება	892686	582222	0	310464
სულ ჯამი	2829377	583926	142208	2387659

ცვეთა	6. 31,12,19	ცვ. დარიცხვა	ცვ. ჩამოწერა	6.31,12.18
შენობა	0	0	0	0
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	21062	3974	0	17088
ძალოვანი მანქანები და მოწყობილობები	128451	44136	0	84315
ოფისის აღჭურვილობა	1453	349	0	1104
სატრანსპორტო საშუალებები	10809	3767	0	7042
ელექტრო ძრავები და დიზელ გენერატორები	934	241	0	693
სპეციალური ინსტრუმენტები	559	356	0	203
ლიზინგით აღებული ქონება	19002	13660	0	5342
სულ ჯამი	182270			115787
საბალანსო ღირებულება.	2647107			2271872

კომპანიას გააჩნია:

- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები საერთო ფართობით 13551 კვ.მ, ჭიათურაში სოფელ რგანსა და სოფელ სარქველეთუბანში.

-სატრანსპორტო საშუალებები სატვირთო ავტომობილები სულ 3 ერთეული

- ძალოვანი მანქანები და მოწყობილობები 6 ერთეული მუხლუხა ექსკავატორი, 1 რთული ბორბლებიანი ექსკავატორი და 1 ერთეული თვითმტვირთველი.

3.1.5 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

შენიშვნა 5

დასახელება	2019 წ	2018 წ
სავაჭრო ვალდებულება	49410	158347
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.	49410	158347

კომპანიის ვალდებულებები წარმოშობილია ძირითადი საქმიანობიდან, (მანგანუმის მოპოვებისა და გამდიდრებისათვის), კომპანიას 49410 ლარის ვალდებულებიდან ძირითადი ნაწილია ტექნიკის რემონტის მომსახურების შედეგად წარმოქმნილი ვალდებულება 23671 ლარი და საწვავის ვალი 13534 ლარი

3.1. 6 ფინანსური იჯარის ვალდებულება

შენიშვნა 6

დასახელება	2019 წ	2018 წ
თბისი ლიზინგი	427107	33813

კომპანიას თიბისი ლიზინგის მიმართ ერიცხება ვალდებულება 427107 ლარი მუხლზეა ბუღდოზერის ღირებულება. გადახდა ხორციელდება ყოველთვიურად შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, კომპანიას ვადაგადაცილებული დავალიანება არ ერიცხება.

3.2 შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგება-ზარალის შესახებ ახსნა განმარტება

3.2.1 ამონაგები

შენიშვნა 1

დასახელება	2019 წ	2018 წ
მომსახურებიდან ამონაგები	3865122	4380870
საქონლის გაყიდვიდან ამონაგები		
ამონაგები სულ	3865122	4380870

მომსახურებიდან ამონაგები ფორმირებულია მანგანუმის მადნის მოპოვებასა და გადამუშავების შედეგად მიღებული შემოსავლებიდან.

3.2.2 შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები

შენიშვნა 2

დასახელება	2019 წ	2018 წ
შრომის ანაზღაურება	268790	214074
ტრანსპორტირების ხარჯები	33748	75872
საწვავის ხარჯი	650894	716793
იჯარის ხარჯი	156938	159828
ქიმიური ანალიზი ხარჯი	2068	882
კარიერის პროექტირების ხარჯები	43250	17853
ტექნიკის მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯი	118662	133924
ცვეთა და ამორტიზაცია	65848	52534
სულ მომსახურების თვითღირებულება	1340198	1371760

2018 წელს კომპანიის მიერ გაწეული საერთო ხარჯების 79-80% შეადგენს მის ძირითად საპროფილო პირდაპირ ხარჯებს, ხოლო 2019 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 71-73%-ია.

3.2.3 საოპერაციო ხარჯები

შენიშვნა 3

დასახელება	2019 წ	2018 წ
ადმინისტრაციის შრომის ანაზღაურება	480668	339000
საპოცენტო ხარჯი	83313	25433
ქონების გადასახადის ხარჯი	22810	18927
ადმინისტრაციული ძრ. საშუალებების ცვეთა	670	514
სულ	587461	383874

- კომპანიის ადმინისტრაცია მოიცავთ თხუთმეტი დასაქმებულ თანამშრომელს.
- სესხის პროცენტის ხარჯი წარმოადგენს ფინანსური იჯარის და გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებაზე დარიცხულ პროცენტს.
- ცვეთის ხარჯი მოიცავს ოფისის აღჭურვილობისა ცვეთის ხარჯს.

3.2.4 ადმინისტრაციული ხარჯები

შენიშვნა 4

დასახელება	2019 წ	2018 წ
საბანკო მომსახურების	3795	5619
კომუნიკაციის ხარჯი	642	600
დაზღვევის	379	
იჯარის ხარჯი	3360	3360
საკანცელარიო ხარჯი	733	712
საპენსიო შენატანი	14984	
სულ	23893	10291

3.2.5 არასაოპერაციო შემოსავალი/ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან

შენიშვნა 5

დასახელება	2019 წ	2018 წ
მოგება სავალუტო ოპერაციიდან	20123	19132
ზარალი სავალუტო ოპერაციიდან	(9 052)	(43 157)
სულ არასაოპერაციო შემოსავალი/ზარალი	11 071	(24 025)

3.2.6 არასაოპერაციო შემოსავალი/ზარალი ძრ. საშუალების რეალიზაციიდან

შენიშვნა 6

დასახელება	2019 წ	2018 წ
ძრ. საშუალების რეალიზაციიდან ამონაგენი	163298	209178
ძრ. საშუალების ნარჩენი საბალანსო ღირებულება	(141 599)	(292 796)
სულ არასაოპერაციო შემოსავალი/ზარალი	21 699	(83 618)

დასახელება	2019 წ	2018 წ
საქველმოქმედო ხარჯები	10 000	27 000
ადმინისტრაციული ჯარიმა		8 234
სულ არასაოპერაციო ხარჯი	10 000	35 234

4.1. ინფორმაცია ფინანსური რისკების შესახებ

კომპანია საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსური რისკებს:

- საკრედიტო რისკი: შესაძლებლობა, რომ დამკვეთი მთლიანად არ გადაიხდის შესრულებული სამუშაოს საფასურს ან ნაწილს არ გადაიხდის დროულად, რაც შესაბამისად გამოიწვევს კომპანიისათვის ზარალს.

- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას შეიძლება არ გააჩნდეს ან ვერ შეძლოს ფულადი სახსრების მოზიდვა, საჭიროების შემთხვევაში და, შესაბამისად, შეექმნას სირთულეები ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულებისას.

-სავალუტო რისკი: უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებები (გადასახდელები) იწვევენ სავალუტო რისკს. რომელიც გულისხმობს უცხოური ვალუტის ცვლილების შედეგად ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილების რისკს.

5.1 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ განვითარებული მოვლენები

2019 წლის 31 დეკემბრიდან ამ ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღამდე ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რასაც შესაძლოა გავლენა ჰქონოდა ფინანსურ ანგარიშგებაზე.